



USAID
აშშ-ის საერთაშორისო
დახმარების აგენტი



unag
საერთაშორისო უწყვეტი
დახმარების აგენტი

USAID-ის პროგრამა
ერთიანობა
მრავალფეროვნებაშია

USAID unity through diversity program



პროგრამის შესახებ

- დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)-ის მიერ ხელშეკრულების # 72011422CA00003
- მთლიანი დაფინანსება: 20 მილიონი აშშ დოლარი
- განხორციელების პერიოდი: 2022 წლის ივლისიდან – 2027 წლის ივლისამდე
- განმახორციელებელი: საქართველოს გაეროს ასოციაცია
- 11 განმახორციელებელი პარტნიორის და 14 საოპერაციო პარტნიორისგან შექმნილი კონსორციუმი
- 4 მილიონი აშშ დოლარის საგრანტო მექანიზმები პოლიტიკის ერთობლივად შექმნისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად.
- დაახლოებით 75 პარტნიორი დამატებით ჩაერთვება ქვეგრანტების და ერთობლივი ინვესტიციების მეშვეობით.

დაფარვა ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის 16

ახალგაზრდული ცენტრის მეშვეობით. ფართო დაფარვა

სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარასა და კახეთში.

USAID-ის პროგრამა ერთიანობა მრავალფეროვნებაშია

USAID-ის ხუთწლიანი პროგრამა: „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“, მიზნად ისახავს იმ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური დაბრკოლებების გადალახვას, რომლებიც საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს აფერხებს. პროგრამის ამოცანაა, რომ აღნიშნულ გამოწვევების მოგვარების პროცესი წარიმართოს სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობითა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მონაწილეობა საჯარო დისკუსიებსა და პოლიტიკის შემუშავების სხვადასხვა პროცესში. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საქართველოს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას. სამიზნე რეგიონებში ეკონომიკური განვითარების და დასაქმების ხელშეწყობით, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მედიასთან და სხვა სექტორებთან თანამშრომლობით, პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს სამოქალაქო ერთობის განმტკიცებასა და მის შემდგომ მდგრადობას.





USAID
ამერიკელი ხალხისთვის



unag
საინფორმაციო განვითარების აგენტი

USAID UNITY THROUGH DIVERSITY PROGRAM
USAID-ის კომბაზა ერთიანობა მრავალფეროვნებაში

მეორე ლოტი

ეკონომიკური ინტეგრაციის გრანტები

საინფორმაციო ბარათი



ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა

საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA-Georgia), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, აცხადებს სამოქალაქო და ეკონომიკური ინტეგრაციის საგრანტო პროგრამას.

საგრანტო პროგრამის მიზანია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უკეთ ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, ქვეყანაში საზოგადოებრივი ერთობის ხელშეწყობა და ურთიერთსასარგებლო სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერება.

საგრანტო კონკურსი შედგება ორი ლოტისგან:

1. სამოქალაქო ინტეგრაციის გრანტები.
2. ეკონომიკური ინტეგრაციის გრანტები.

მეორე ლოტის ფარგლებში საგრანტო პროგრამის მიზანია, მხარი დაუჭიროს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს მენარმეობისა და ბიზნესის განვითარებაში, უფრო ხელმისაწვდომი გახადოს საჭარო ფინანსები და მომსახურება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და ამით გააუმჯობესოს სოციალურ-ეკონომიკური გარემო.

საგრანტო პროგრამის ძირითადი მიმართულებები ეკონომიკური ინტეგრაციის ფარგლებში

- ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან რეგიონებში ფინანსური და ტექნიკური დახმარება მიკრო, მცირე და საშუალო მენარმეებისთვის;
- ეკონომიკური ღირებულების შექმნის ციკლში ახალი კავშირების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შიდა ბაზრის ეკონომიკური ინტეგრაციის გაუმჯობესება;
- მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის (MSMEs) თანადაფინანსება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბიზნეს საქმიანობა გააფართოვონ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ხელი შეუწყონ მიწოდების ჯაჭვების გამრავალფეროვნებას, სავაჭრო ინფრასტრუქტურის განახლებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისთვის.
- ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება და კონსულტირება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერ სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისების („ანარმეო საქართველოში“, „სოფლის განვითარების სააგენტო“, „GITA“) გამოყენების გასაუმჯობესებლად.
- რეგიონული სტარტაპერების მხარდაჭერა - პრე-აქსელერაციისა და აქსელერაციის პროგრამები, ბიზნეს ინკუბატორები, და სხვა.
- ბიზნესის განვითარების უნარებისა და ფინანსურ საკითხებში წიგნიერების გაუმჯობესების ხელშეწყობა რეგიონული მენარმეებისთვის.
- ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება და მათი წახალისება პროფესიული განათლების სისტემაში ჩასართავად.
- პროფესიული განათლების დაწესებულებების მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობის

წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად; ახალი მექანიზმების შემუშავება პროფესიული განათლების სისტემაში მათი ჩართულობის გაუმჯობესებისთვის.

- უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ბიზნეს ასოციაციების დაარსების მხარდაჭერა, რაც სარგებელს მოუტანს როგორც ადგილობრივ ეკონომიკას, ასევე უმცირესობების წარმომადგენლებს.
- სამიზნე რეგიონებში ერთობლივი საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა პროფესიული განათლების დაწესებულებებსა და ბიზნეს ასოციაციებს შორის.
- პროფესიულ სასწავლებლებში ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა.
- მენტორობა და კავშირების გაფართოება - უმცირესობების წარმომადგენელი მენარმეებისა და სხვა რეგიონის მენარმეებს შორის გამოცდილების გაზიარების და ახალი ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების შექმნის ხელშეწყობისთვის.

დაფინანსება და სხვა დეტალები

- საგრანტო პროგრამის საერთო ბიუჯეტია \$4 000 000, ხოლო ერთი ორგანიზაციისთვის/კომპანიისთვის საგრანტო თანხის საორიენტაციო ზედა ზღვარი კი - \$120,000. გამონაკლის და კარგად დასაბუთებულ შემთხვევებში, საქართველოს გაეროს ასოციაციას შეუძლია გაზარდოს დაფინანსების ზედა ზღვარი.
- ბიზნესის/სტარტაპების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს 50%-იანი თანადაფინანსება ბიზნესის მხრიდან, რაც მოიცავს ფულად შემონატანს, სესხს და თანადაფინანსებას სხვა წყაროებიდან (მათ შორის, სახელმწიფო პროგრამებიდან).
- თანადაფინანსებრად არ ჩაითვლება შენატანი ნატურით (in-kind). თუმცა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდის ან ქალი მენარმე აპლიკანტის შემთხვევაში, საქართველოს გაეროს ასოციაცია ითვლებს უფლებას შეამციროს თანამონაწილეობის წილი, დაუშვას ნატურის სახით თანადაფინანსება ან საერთოდ არ მოსთხოვოს აპლიკანტს შემონატანი.
- საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტის განხორციელების მაქსიმალური ხანგრძლივობაა 18 თვე.
- პროექტების განხორციელების ძირითად ადგილად მოაზრებულია შემდეგი რეგიონები:
 - ქვემო ქართლი (ნინოწმინდა, წალკა, გარდაბანი, დმანისი, მარნეული)
 - სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა)
 - კახეთი (ახმეტა, პანკისი, საგარეჯო, ყვარელი, ლავოდეხი)
 - მთიანი აჭარა (შუახევი, ქედა, ხულო)
- საგრანტო პროგრამის ფარგლებში ქვეგრანტები არ დაიშვება, თუმცა განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს ერთობლივი განაცხადი თანაგანმცხადებელთან ერთად, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს წამყვანი განმცხადებლისათვის დაწესებულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.
- წამყვან განმცხადებელს ერთჯერადად მხოლოდ ერთი განაცხადის შემოტანა შეუძლია და მისი განაცხადის განხილვის პროცესში ის სხვა პროექტში თანაგანმცხადებელი ვეღარ იქნება.

ვის შუამდგომლობა

- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, სტარტაპები, სოციალური საწარმოები.
- საფინანსო ინსტიტუციები და სხვა მსხვილი ბიზნესი.
- ბიზნეს ასოციაციები
- არსამთავრობო ორგანიზაციები.

თუკი აპლიკაციის პროცესში აპლიკანტი საჭიროებს მხარდაჭერას

- პოტენციური გრანტიორების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გაეროს ასოციაცია უზრუნველყოფს საგრანტო პროექტების წერის, ფინანსური მენეჯმენტის, შიდა კონტროლის, მონიტორინგისა და შეფასების სემინარებსა და სამუშაო შეხვედრების ჩატარებას, წელიწადში მინიმუმ ორჯერ. აღნიშნული ღონისძიებების თარიღები და დღის წესრიგი გამოქვეყნდება საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდზე (www.una.ge) და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისათვის.
- გარდა ამისა, საქართველოს გაეროს ასოციაცია და პროგრამის პარტნიორები უზრუნველყოფენ წვრთნას (ე.წ. “coaching”) შერჩეული აპლიკანტებისთვის, რაც შეიძლება მოიცავდეს ბიზნეს გეგმის შემუშავებას, სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან თანადაფინანსების მოპოვებისთვის საჭირო დახმარებას და საჭიროებისამებრ სხვა კონსულტაციებს.

განაცხადების მიღება:

- საგრანტო განაცხადები მიიღება ღია კარის წესით, საქართველოს გაეროს ასოციაცია გრანტების შესარჩევ გუნდთან/კომისიასთან ერთად შემოსვლისამებრ, სისტემატურად განიხილავს საპროექტო განაცხადებს.
- შერჩევის პროცესი არის ორ ეტაპად ხორციელდება.
- თუკი აპლიკანტი წარმოადგენს ბიზნესს/სტარტაპს, პირველ ეტაპზე მან უნდა წარმოადგინოს ბიზნესისთვის განკუთვნილი სპეციალური განაცხადი, ხოლო მეორე ეტაპზე კი დეტალური ბიზნეს გეგმა.
- თუკი აპლიკანტი წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციას, პირველ ეტაპზე მან უნდა წარმოადგინოს პროექტის კონცეფცია (მაქსიმუმ 5 გვერდი დანართების გარეშე), ხოლო მეორე ეტაპზე კი სრული განაცხადი (მაქსიმუმ 15 გვერდი დანართების გარეშე).
- შესავსები ფორმები ორივე ეტაპისთვის შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდზე: [იხ. QR Code](#)
- ყველა საგრანტო განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელექტრონულად, შემდეგ ელ. ფოსტაზე: una@una.ge, ხოლო subject line -ში უნდა მიეთითოს „Georgia Integration Grants Facility“.

